„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэва“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. - 4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50-ჯ [illegible] ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის გალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

## მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთს „დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

**ფასი ხუთი მანათი**

სოფლის მასწავლებელთათვის

**ოთხი მანათი**

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს დააჩქარონ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისის 1-დამ გაზეთი მოესპოთ.

## შინაური ქრონიკა

*** თბილისის სათავად-აზნაურო (სადგილ-მამულო) ბანკისაგან წრეულს გამოცხადებული იყო გასაყიდად 135 მამული. რადგან პატრონებმა სარგებელი შემოიტანეს, მხოლოდ 15 მამულზედ მოხდა ვაჭრობა, გუშინ, ივნისის 22-ს. მათ შორის 9 ქალაქისა იყო და 6 სოფლისა. გაიყიდა ქალაქისა 6-სი და სოფლისა 2. მეორე ვაჭრობამდის, რომელიც წესდებისა-მებრ, ივლისის 6-ს უნდა მოხდეს, დარჩა 7 მამული, 3 ქალაქისა და 4 სოფლისა.

*** არტემ ბალუსტოვის მცირე წლოვანის ქალის მოკვლის თაობაზედ აი, კიდევ რას ლაპარაკობენ: ივნისის 10-ს, ნაშუადღევს, მცირე წლოვანი ანა ბალუსტოვისა თამაშობდა ეზოში თავის უფროს დასა და სხვა ბავშვებთან. მშობლები შინ არა ყოფილან. ქალანთაროვის სახლში მხოლოდ ორი—მდგმური ყოფილა—თვითონ დერციკი ბალუსტოვი და კალატოზი ჯავახოვი, რომელიც თავის დედასთან ერთად ქვემო სართულში ცხოვრობდა. რა კი ბავშვების მშობლები იქ არა ყოფილან, დავით ჯავახოვი გამოსულა ეზოში და ბავშვებში გარეულა შემდეგ მას ანა ბალუსტოვის უფროსი და გაუგზავნია, რომ ანას პური და ყველი მოუტანეო, დანარჩენი ბავშვებიც გაესტუმრებინა, რის შემდეგაც ჯავახოვს ეტაცნა ხელი თავის მსხვერპლის პატარა ანასათვის, ბანზედ აეყვანა და როდესაც ბოროტება ჩაედინა იატაკი ამოეტეხა და შიგ ჩაეწვინა. რამდენიმე ხნის შემდეგ ენახა, რომ ბავშვი ისევ ცოცხალი ყოფილიყო, მაშინ მას მსხვერპლისათვის პირი მიწითა და კენჭებით ამოევსო, შემდეგ თოკი მოება ყელზედ და ჩამოეკიდნა

*** ქუთაისის სატუსაღოდამ გაქცეულა ოზურგეთში ანტონ ნაკაშიძის მკვლელი გურული ლომჯარია.

*** ახლად აშენებულს დუშეთის ეკლესიაში დაუმარხავთ ვიღაც პოტაპოვი და გახრწნილის გვამისაგან ესლა ისეთი საშინელი სუნი სდგას თურმე, რომ კაცს ვერ შეუძლიან სამს წამს ეკლესიაში დადგესო. არამც თუ ეს პოტაპოვი სხვაც ბევრი დაუმარხავთ ეკლესიაში, ვისაც კი 100-დამ 300 მან. შეუტანია ეკლესიის სასარგებლოდ. („ნოვ. ობ,“).

*** გაზეთს „კავკაზს“ აცნობებენ, რომ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოეს საქართველოს ეგზარხოსისგან დაფუძნებული ძმობა ყოვლად წმინდა ღვთის მშობლისა სიონის სობოროსთან დაიწყობს მოქმედობას ამ წლის სექტემბრიდამო. სექტემბერშივე იქნება პირველი კრება ძმობის წევრებისა რჩევის წევრების ამოსარჩევად. ზაფხულის განმავლობაში ძმობის წესდება და ეგზარხოსისგან მოწოდება გაიგზავნება საქართველოს ყველა ეპარქიებში.

*** მასვე აცნობებენ, რომ საკათედრო სობოროს წინამძღვარი დეკანოზი ე. პ. ელიევი მოსკოვში გაუგზავნიათ წმინდა მირონის მოსატანად საქართველოს საეგზარხოსო ეკლესიათათვის.

*** გამოჩენილი უნგრიელი მოგზაური მორიც დეჩი, რომელიც შარშან ზაფხულში კავკასიაში მოგზაურობდა და იალბუზის მთაზედ ავიდა, წრეულსაც აპირობს კავკასიაში მოსვლას. დეჩი პირველად კავკავში მივა, იქიდამ სვანეთში, რიონის ხეობაში და აგრეთვე იალბუზის კალთების დასათვალიერებლად წავა.

## წერილი რედაქტორთან

იმედია, მიხედავთ ჩემს საქმეს და ამ მცირე წერილს დაუთმობთ ადგილს თქვენს პატივცემულს გაზეთში.

აი, ბატონო, საქმე რაშია. მოგეხსენებათ, რასაკვირველია, რომ რკინის გზაში მსახურობენ კონდუქტორი-ფერშლები და კონდუქტორი-ტელეგრაფისტები. პირველების მოვალეობა არის ატარონ თან ქინაქინა და სხვა რამე უბრალო წამლები და თუ ვისმე გაუჭირდა გზაში, უშველონ თავიანთი ხელობით ყოველსავე შემთხვევაში და თუ საჭიროება მოითხოვს, ავადმყოფი რომელსამე სტანციაზე გადმოსვან, რომ ადგილობრივმა ექიმმა ლონის-ძიება მიიღოს. პასუხის-გება იმათ არაფერი მოეთხოვებათ. ხოლო მეორენი არიან ვალდებულნი ატარონ თან აპარატი და თუ სადმე გზაში საჭირო იქნება:—ვთქვათ, ლოკომოტივი ან მაშინის სხვა რამ ნაწილი წახდა, ან განსაკუთრებითი რაიმე შემთხვევა მოუხდა ორთქლით მატარებელს

---

## დილა

ილევა ბინდი ღამისა,
ცაზედ ვარსკვლავნი ჰქრებიან,
ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრუბლები
მთის წვერებს ეფინებიან.

*

დილის ცისკარმაც ადგილი
დაუთმო მზისა სხივებსა
და დილამ ნაზად მორთულმა
აღუძრა ენა ფრინველებსა!...

*

რაცა ხანია ტოროლამ
ბუდითგან დაიფთხრიალა,
წავიდა მაღლა ტრიალით
გალობა დააწკრიალა!...

*

იმ თავ-დახრით ბუჩქებში
შეიშრო ცისა ცვარები,
და მეხრემ ზლაზვნით მინდვრისკენ
გამოიძოვა ხარები!

*

ლაჟვარდ ცაზედა მეფურად
მოცურავს სხივოსნიანი,
და ღელეთ შუა მდინარე
მოშხუის მკვახე-ხმიანი.

*

მის გარემემო ფოთლნარი,
სდუმდა და აღარ შრიალებს,
კლდითგან კლდედ გადმომდინარი
წყაროც ქვა ჩამოჰქრიალებს.

*

აგერ მინდვრითგანც მოისმის
სიმღერა ნაღველ-ხმიანი,
მკვნესარი გულის დამღონე,
ჭირ-მომთქმე სევდოსნიანი!...

*

ეს ხმაა მინდვრად მშრომელთა
ზე-მოვლენილთა ამიერ,
ბარაქა იმათ ნაშრომსა
იცოცხლონ „მრავალ-ჟამიერ“.

მღვიმელი.

## ხმა ქუთაისიდამ

სიზმარი და სიზმარში ნახული სურათები.—გაცრუებული იმედი.—ლაქიათა გროვა.—ბელებიანი დათვი.—თ. ნ. თ—ძე.—‹ვეი პლეჩ!›—‹ოდახი›.—საზაფხულო კლუბი.—სიცხე.

ხშირად იმ გვარს სიზმარს ნახავ, რომ გამოღვიძება დაგნანდება. ჩვენი ცხოვრება მაინც სიზმარია, მაგრამ სიზმარისა და სიზმარის შუაც განსხვავებაა. მე მაინც განსაკუთრებით ხშირად ვნახავ ხოლმე სიზმარს და თუ გნებავსთ, ამასაც მოგახსენებთ, რომ სიზმარი ძლიერ მიყვარს, იმიტომ ,რომ სიზმარში ერთს წუთას მაინც დატკბება ოცნება. მეცნიერებს აქამდის ვერ გამოუკვლევიათ, თუ რა კანონებიდამ და რა მიზეზებიდამ წარმოსდგება სიზმარი, მაგრამ რა დროს მეცნიერებაა?,..

***

საკვირველი სიზმარი ვნახე ამ დღეებში. ვითომ ქუთაისში დავსეირნობდი დავსეირნობდი, მაგრამ ვერ ვსცნობდი მას: მე იგი სამოთხედ მეჩვენებოდა. საითაც არ გავიხედავდი, სახლებს კრიალი გაჰქონდათ, თითქოს მარმარილოსი აეშენებინოსთ. სახლები ბაღებით იყვნენ გარშემორტყმულნი; ბაღებში ათას გვარი ყვავილები და ძვირ-სანახავი ხეები იდგნენ. შიგ მგალობელი ჩიტები გასჭიკჭიკობდნენ მღერის ხმებს და მით უფრო ატკბობდნენ დატყვევებულ ოცნებას. ერთი სიტყვით ამ განცხრომაში კაცს სიკვდილი დაგავიწყდებოდა.

***

სოფლის დედა-კაცები მოგახსენებენ: ‹კაცს გულში რაც ჩაგყვება, ან უმეტესად რაზედაც ფიქრობ, ის გესიზმრებაო!› ეს შეხედულება სიზმარზე ამ შემთხვევაში სრულებით არ გამართლებულა. მე ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი და ვერც წარმოვიდგენ, რომ ქუთაისი ვნახო იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ვნახე ამ სიზმრის დროს, და ამაზედ ფიქრიც ხომ სიბრიყვეა.

აბა, თქვენი ჭირიმე! როგორ წარმოვიდგენდი შემდეგს სანახავს? ერთს ქუჩაზე, რომელზე კი არ მახსოვს, ვნახე ვეებერთელა მშვენიერი ახალ გემოზე აშენებული სახლი. ამ სახლზე მსხვილი ოქროს ასოებით იყო გამოჭრილი: ‹ტაძარი მეცნიერებისა›. მოვინდომე ამ ტაძარში გასეირნება: კიდევ უმჯობესი სანახავები გარდაეშალნენ ჩემს თვალს. აგერ ზის ერთი ‹ქურუმი მეცნიერებისა› გარშემორტყმული შაგირდებით, აგერ მეორე, იქით მესამე. არ დაიჯერებ, კრუხი ისე ზრუნავდეს წიწილებისათვის, როგორც ეს მეცნიერები ზრუნავდენ თავიანთ შეგირდებისათვის. მეტ-ნაკლო-

კონდუქტორი-ტელეგრაფისტები მოვალენი არიან თავიანთი აპარატით გაჰირებიდგან გამოიყვანონ როგორც მატარებელი, ისე შიგ მსხდომნი: უნდა მიათრიონ თავიანთი აპარატი, თავისივე ზურგით რაც უნდა დარი ან ავდარი იყვეს, რომელიმე ტელეგრაფის სვეტთან, მიაბან აპპარატის მავთული გაბმულ მავთულს და შეატყობინონ მატარებელის გაჭირებული მდგომარეობა მახლობელ სტანციის უფროსს ან სადაც ჯერ არს. თუ ეს მათი მოვალეობა, რაც უნდა მიზეზის გამო იყოს, ვერ შეასრულეს, სამსახურისგან დათხოვნილნი იქმნებიან და პასუხის-გებაშიაც მიეცემიან. მოხდება ხოლმე, რომ ზაფხულის პაპანაქება სიცხეში ან ზამთრის ყინვაში, ერთის სიტყვით, თოვლში, ყინვაში, სიცხეში და დიდს წვიმაში მატარებელი ფუჭდება, ან ისეთი დაბრკოლება ეძლევა, რომ უეჭველად უნდა გაჩერდეს. ამისთანა დროსაც კონდუქტორი-ტელეგრაფისტები ისე უნდა მოიქცენ, როგორც ზემოდ ვსთქვით. როგორც ხედავთ მძიმე მოვალეობაა. გარდა ამისა, როგორც ერთნი, ისე მეორენი ასრულებენ უბრალო კონდუქტორების მოვალეობასაც. ამისთანა მძიმე მოვალეობის ჯილდო-ჯამაგირად კონდუქტორ-ტელეგრაფისტებს ამა წლის 1 იანვრამდის გვაძლევდენ თვეში ხუთს მანათს მეტს დაწესებულ ჯამაგირზე. ჩვენც კმაყოფილნი ვიყავით ჩვენი ბედისა. მაგრამ ამ წლის პირველ იანვრიდამ ეს ხუთი მანათიც მოგვაკლეს ჩვენ და მიუმატეს კონდუქტორ-ფერშლებს, რომელთ მცირე ჯამაგირების გამო შუამდგომლობდა რკინის გზის უფროსი ექიმი მათთვის ჯამაგირის მიმატებაზე. დიაღ, ბატონი უფროსი ექიმის შუამდგომლობამ ნაყოფი მოიტანა: ჩვენ მოგვაკლეს ხუთი მანათი თვეში და იმათ მიუმატეს. ღმერთმა დაგვიფაროს იმისგან, რომ ვსთქვათ, «იმათ რად მიუმატესო»,—არა იმათ ერგებოდათ მეტი ჯამაგირი, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ! ნუ თუ ჩვენი მოვალეობა ისე მცირეა, რომ ჯამაგირის მოკლების ღირსიც გავხდით? ნუ თუ ჩვენ ვერ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, როცა შემთხვევა იქნება? ჩვენ გვეგონა, რომ ამისთანა მძიმე მოვალეობის ერთგულად შესრულების წასაქეზებლად კიდევაც მოგვიმატებდენ, მაგრამ მომატების მაგიერ თუ მოგვიკლებდენ—ეს აღარ გვცოდნია, არ გვგონებია. იმედი გვაქვს—ამ ჩვენს გარემოებას ყურადღებას მიაქცევს, ვისიც ჯერ არს და დასაშუშებელ მალამოსაც მოსცხებს ჩვენს ბედს. იმედი გვაქვს ჩვენი რკინის გზის ტელეგრაფის უფროსიც იშუამდგომლებს ჩვენთვის, რომ იმ წინანდელ ჯამაგირზე მაინც აღარ დაგვიკლონ, თუ ყოფილ ჯამაგირზე მომატებას ვერ ვღირსებით.

ერთი ტელეგ.—კონდუქტორი.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ლიბერალები ნიშნ-მიგებით გაიძახიან, რომ ერთი უმთავრესი ცვლილება, რომელიც მარკიზ სალისბიურიმ მოახდინა თვისს ახალს სამინისტროში მხოლოდ ის არისო, რომ პარლამენტის სხდომები ამიერიდამ მოხდება პარასკევობით და არა ორშაბათობით, როგორც გლადსტონისობას იყოო.—კონსერვატორები მართლა რომ ძალიან დააფრთხო გლადსტონის გადაწყვეტილებამ, რომ იგი არ დასტოვებს პოლიტიკურს სარბიელს და კვლავ უმხრობს ლიბერალურს დასს. რომ მცირედ მაინც დაამშვიდოს საზოგადოება, ახალმა მეთაურმა სამინისტროისამ, მარკიზ სალისბიურიმ ათი დღით გადასდვა პარლამენტის სხდომები. ამ განკარგულებას ერთობ ცუდის თვალით შეხედა საზოგადოებამ. ყოველს ნაბიჯზე იმას გაიძახიანო, რომ კონსერვატორებს, როგორც ეგონათ ისე ვერ მოუვიდათ საქმეო. ნორჩს სამინისტროს თვის შორისაც უკმაყოფილება მოსდის. მაგალითად მარკიზ სალისბიური ძლიერ წინააღმდეგი იყო იმისი, რომ ერთი მინისტრის პორტფელთაგანი ლორდ ჩერჩილსაც რგებოდა, რომ ამ ცხარე ოპოზიციონისტს ეგდო ხელთ ინდოეთის საქმეთა გამგეობა, მაგრამ ვერა გაარიგა რაო. საზოგადოების უმეტესობა უკმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ მარკიზ სალიბიურიმ თანაშემწეებად — მინისტრებად ისეთი პირები მიიხმო, რომელთაც, ზოგს მათგანს მაინც, არავითარი წარსული არ მიუძღვით, არაფრით არ უსახელებიათ თავი. ამ ყოფაშია ამ ჟამად ინგლისის სამინისტრო. კვირიდამ კვირაზე სდებს მარკიზ სალისბიური პარლამენტის სხდომებს და ამ დროს ინგლისის მოდავის მოუთმენელი მდგომარეობა ადვილი ასაწერია. სამართლიანია, მართლაც, რუსული გაზეთების სიცხარე ამ შემთხვევაში. რუსეთი ყოველ-დღე აუარებელ ხარჯს უნდა სწევდეს—მუდამ წამს მზად უნდა იყოს ლაშქრად გასვლისათვის, რომ მტერი მოულოდნელად არ შემოესიოს. და ამ დროს ინგლისის ახალი სამინისტრო ათ-ათი დღეობით თავს ანებებს გარეშე პოლიტიკაზე თათბირობას, არავითარს პასუხს არ იძლევა სადავო ადგილების შესახებ.—ამის თაობაზედ ერთი ლონდონის გაზეთი იწერება, რომ რუსის წარმომადგენელს სტაალს მონდობილი აქვს თვისის მმართებლობისაგან გადაწყვეტილი პასუხი მოსთხოვოს მარკიზ სალისბიურის ავლანის თაობაზედ და თუ ახალი მეთაური დააყოვნებს ასეთი პასუხის მოცემას, სტაალმა იმ წამსვე დასტოვოს ლონდონიო. არ ვიცით—რამდენად მართალია ეს ცნობა ინგლისური გაზეთებისაო,—იწერება ერთი რუსული გაზეთი,—მაგრამ რომ ესეთი გადაწყვეტილება რუსის მმართებლობისა ყოველის-მხრით საფუძვლიანი და სამართლიანი იქმნებოდა ამის ეჭვი არა გვაქვსო...

«Times»ს სწერენ გონ-კონგიდამ, რომ ნავთ-საყუდარი ჰამილტონი დროებით როდი დაუჭერიათ ინგლისელებსო. ინგლისელები ბეჯითად გამაგრებას ჰპიქრობენ იქაო. დღესაც აუარებელს ქვა ნახშირს, საქონელს და ხე-ტყეს ჰგზავნიან ამ ნავთ-საყუდრისაკენაო.

**ესპანია.** სამინისტროს კრიზისი თითქოს გადამდები ავადმყოფობა შეიქმნა ევროპის სახელმწიფოებში. ჟულფერის სამინისტრო თონქინმა იმსხვერპლა, გლადსტონისა—სუდანმა და ავლანმა, მანჩინის—მეწამულმა ზღვამ (კოლონიალურმა პოლიტიკამ). რომ ითქვას—ამ სამ უმთავრეს სახელმწიფოების სამინისტროს ცვლილებას კიდე საფუძვლიანი მიზეზები ჰქონდა, მაგრამ ესპანიის სამინისტრო კი მართლა რომ ახირებულის მიზეზით, საბუთით აპირებდა გადადგომას. საქმე ის არის, რომ ესპანიას შარშანდებურად მოედო ხოლერა. მეფე ალფონსმა განიზრახა ხოლერიან ადგილებში გამგზავრება და დაზარალებულების ნუგეშის-ცემა. ასეთს განზრახვას მეფისას ცხარე მოწინააღმდეგენი აღუჩნდენ: ყველა მინისტრები და დაიმუქრენ,—როგორც კი დაიძვრის მეფე მადრიდიდამ, მაშინვე გამოვალთ სამსახურიდამაო.—როგორ მოიყვანა გონს მეფემ გაცხარებული მინისტრები, დარჩა მადრიდში და დაიყოლია, თუ გაემგზავრა ხოლერა-მოდებულ ადგილებში,—ამაზედ არას იწერებიან გაზეთები; მხოლოდ ის კი გვაცნობეს,

---

ბას ვერ შენიშნავდი ვერც ერთს შეგირდს. ერთი სიტყვით რაც მუდმივ ჩვენთვის სანატრელია, ის ვნახე იმ ღამეს. იქვე იდგა გროვა ახალ კურს-შესრულებულთა. თითო ოქროს მენდალი ყველას ეკიდა ყელზე. თვალი ამიჭრელდა, გული ამიტოკდა მეტისმეტი სიხარულით და გავეშურე ბალისაკენ.

ბალის აღწერისაგან კი უნდა განმათავისუფლოთ. ეს ბალი იმოდენად ფანტასტიური იყო, რომ შთაბეჭდილება ვერ მოჰკრეფს მის მშვენიერებას. იგი იყო განათებული ძვირფასი ჩირაღდნებით. შიგ გაემართათ ცხოველი სურათები ახლად კურს-შესრულებულთა სასარგებლოდ. ხალხის ტევა აღარ იყო. ყველა სცდილობდა შეძლების-და-გვარად მოეტანა თავისი წვლილი; ეს მოვალეობად მიაჩნდათ ვითომ. ამ სიზმარში ბალიდამ ერთმა ჩემმა მეგობარმა გამომიტაცა «ზვერინეცის» სანახავად, რომელიც ვითომ ის—ის იყო ჩამოსულიყო. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც დავინახეთ, რომ მგელი ცხვართან სძოვდა, დათვი თავის ბელებით ხარებსა და ძროხაში იყო არეული. მგელ-კაცა, ვეფხი, ლომი, სპილო, ნიანგი და სხვა ამ გვარი მხეცები და ქვემძრომნი ხმას არა სცემდენ თავიანთ სამსხვერპლოს, თუმცა შეეძლოთ კი.

***

მზე კიდეც ამოსულიყო და მისმა სხივებმა გამომაღვიძეს, მომაკლეს სიამოვნებას. მეტის მეტად შევწუხდი იმ მოფიქრებით, რომ ეს სიზმარია და გაქრება როგორც ქარიშხალი. მოვიბრუნე პირი; გავეხვიე საბანში, იქნება კიდევ დამეძინოს და ეს სიზმარი გაგრძელდეს-მეთქი. თქვენს მტერს ნურა უნახავს-რა, მე ვერაფერი ველარ ვნახე. შემდეგ ავდექი, პირი დავიბანე და განვიზრახე ქალაქში გავლა-გამოვლა, იმ იმედით, რომ იქნება ერთი რამე მაინც აღსრულდეს ამ სიზმარიდამ-მეთქი. გამიგონია: «მთვარესა აქვს მნიშვნელობა სიზმარის აღსრულებაშიო». ჩავხედე კალენდარში, ამოვიკითხე რამდენი დღისა იყო მთვარე, მაგრამ შესახებ სიზმარისა ვერა გავიგე-რა.

მხოლოდ ერთი მუხლი ამისრულდა ჩემი სიზმარიდამ: «ზვერინეცის» მაგივრად ცირკის არტისტები მოვიდენ; რაც შეეხება მგლებსა და ცხვრებს, ესენი ქუთაისში ცხადად არ მინახავს, ხოლო დათვები კი ბევრია, მერმე დიდ-დიდი დათვები, ბელებიანი. ისე მაინც არასფერს გავუკვირვებივარ, როგორც შემდგომს გარემოებას. სიზმარში რომ დათვი ვნახე, ისეთი მშვიდი, ისეთი ბელების მოყვარული და ხარ-ძროხის პატივის მცემელი იყო; ცხადად კი ცოფიანს დამსგავსებოდა. ასე წარმოიდგინეთ, რომ თავის ბელებსაც კი სატუსაღოში ჰგზავნის თითო ორ-ორი კვირის ვადით. ხარი და ძროხა ხომ სიახლოვეს ვერ მიეკარება. არ იქმნებოდა ურიგო, რომ ეს დათვი შეკრულ-შებოჭვილი საგიჟე სახლში გაეგზავნათ, მაგრამ კატისა და თაგვებისა არ იყვეს, ვინ გაბედავს ახლოს მიკარებას? ან რომელი მჭედელი მისჭედავს იმ სიმაგრე ჯაჭვს, რომ იგი დაიმაგროს.

***

მოგახსენებენ, რომ ეს დათვს მეტის მეტი სიყვარულით მოსდის და მიეტევებაო. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ბევრს დათვი ჭკვიანად მიაჩნია და ბაძავს მას. დიაღ ადამიანი ბაძავს პირუტყვს, მხეცს. მთლად ქუთათურების პატივისცემა და თუ გნებავსთ სიყვარულიც დაიმსახურა თ. ნ. თ—ძემ თავისი შრომით და მოქმედებით. ნუთუ პატივის-ცემის დამსახურება იყო მიზეზი, რომ მას თავი გაუტეხეს? მაშ რითი ავხსნათ ეს მოვლენა, როდესაც კაცს არავითარი მიზეზი არ მოუცია ამ გვარი მოქმედებისათვის. «ქეტით თავის გატეხა, რა პატივისცემააო»? იტყვის მკითხველი და მართალიც არის, რა პასუხი უნდა მივსცეთ მას, გარდა იმისა, რომ ვილაცამ მიბაძა დათვს სიყვარულში.

«ვეი პლეჩ!» წამოიძახებს, რომელიმე მკითხველი და მართლა «ვეი პლეჩ»! საქმე ის არის რომ გვინდა ცხოვრება თუ არა? რომელი სულელი იქმნება რომ ცხოვრება არ უნდოდეს; მაგრამ ვისაც ცხოვრება უნდა, ის ასე არ მოიქცევა: გუშინწინ სულ ტყუილა-უბრალოდ თავი სისხლით შეუღებეს ნ. თ—ძეს, დღეს თ. გ. შ—ეს დამბაჩა ესროლეს». ესეც ალბად ტყუილ-უბრალოდ. ერთი სიტყ-

რომ ამ ხანად ესპანიის სამინისტროში მშვიდობიანობა ჩამოვარდაო.

ოსმალეთი. ბრბო ავაზაკებისა, რომელიც თავისუფლად დათარეშობს საღონიკისკენ, დღითი-დღე იზრდება. ბოლგარიის ინსურგენტებს პირობა შეუკრავთ, ყაჩაღებად გავარდნილან და შიშის ზარსა სცემენ მცხოვრებლებს. ოსმალეთის მმართებლობამ გაგზავნა ამათ წინაალმდეგ ჯარი, რომელისაც უმთავრესი ბრბო დაუმარცხებია და დანარჩენები გაუფანტავს.— მეორე მხრით სერბიის მმართებლობა საჩივარს-საჩივარზე უგზავნის პორტას არნაუტების ბრბოზე, რომელნიც შე სეულან სერბიაში და ავაზაკობას ახდენენ.—ერთის სიტყვით ამ უკანასკნელ ხანებში ერთობ ცუდი ამბები ხდება ბალკანზე და ოსმალეთის მთავრობაც ძალიან შეაფიქრიანა ამ გარემოებამ.—გარდა ამისა ოსმალეთს შეიძლება ამ მოკლე ხანში ანგარიში მოსთხოვოს საფრანგეთმა, რომლისაგან დასაკუთრებულს საიდზე, კუნძულის პირილის პირ-დაპირ, ოსმალეთის ჯარმა გამოჰფინა თვისი დროშა.

## პასუხი

ბ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის ქუთათური მეფელტონე ბ. ალისუბნელი წარსულის პარასკევის ფელტონში «ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ ქალაქის რჩევაზედაც...» ქალაქის თავის აქ უმყოფლობაში,—მოგახსენებთ ის—რჩევას დაუდგენია შემდეგი გარდაწყვეტილება: საყანთროზე ვინც რა უნდა მოიტანოს, ანუ მოიყვანოს გასასყიდლად ორი კაპეიკი უნდა გადაახდევინონ. მელავინე ყოველ დღე იხდის ორ კაპეიკს ტიკზე. ამ თანამდებობის ალმასრულებლად ერთი ჩინოვნიკიც დაუჭერიათ; ამ ახალ გამოჩეკილ ჩინოვნიკს უშოვია სადღაც თუჯის ჯაჭვი, გარდაუცვამს კისერზე და მრავალგვარ უწესოებას ჩადის. გაკვირვებასა ვართ—რა ნება ჰქონდა ქალაქის გამგეობას (თუ რჩევას?) ამ გვარი გარდაწყვეტილების დადგენისა, როდესაც საყანთრო ბ ბაბჩიას აქვს იჯარით აღებული და იხდის ოთხი-ათას-შვიდას მანათს წელიწადში».

ეს ორიოდე სიტყვა, სამწუხაროდ, ორიოდე შეცდომას შეიცავს და უმორჩილესად გთხოვთ სიმართლის აღსადგენად, დაბეჭდოთ ეს წერილი.

ბაზარში, მოედნებზე და საზოგადოდ სხვა სავაჭრო ადგილებზე წესიერების დასაცველად «სავალდებულო წესები» (обязательныя правила) მცხოვრებთათვის ქალაქის რჩევამ გამოსცა ნოემბრის 6-ს 1884 წ. და ეს წესები შემდეგ მათის დამტკიცებისა ბ. გუბერნატორისაგან დაბეჭდილ იქმნენ ქუთაისის «მმართებლობის განკარგულებათა კრებაში» მარტის 22, მე-12 №-ში.

ამ «სავალდებულო წესების» მე-10 მუხლი ამბობს: «არავის ქალაქის მცხოვრებთაგანს არა აქვს ნება ივაჭროს მოედნებზე, ქუჩებზე ან ტროტუარებზე ქალაქის გამგეობის ნების დაურთველად».

მე-12 მუხლი: «როგორც ამ ადგილებზე ისე საყანთროზედაც ვაჭრობის ნება-რთვა მიეცემა ჯეროვანი გარდასახადის შემოტანის შემდეგ, რომლის რაოდენობაც უნდა იქმნეს განსაზღვრული ქალაქის რჩევისაგან.»

ამ «წესების ასე ზემოხსნებულის გზით საყოველთაოდ გამოცხადების შემდეგ, ქალაქის გამგეობამ საჭიროდ დაინახა მოეხსენებინა რჩევისათვის, რომ თანახმად მე-12 მუხლისა განესაზღვრა გარდასახადის რაოდენობაც. გამგეობამ შემდეგი პროექტი შეიმუშავა და წარუდგინა რჩევას:

ა) თვით საყანთროზე და იმის გარშემო მოედანზე სხვა-და-სხვა ხორაგეულობით ადგილის დაჭერისათვის ფასი იქმნას განსაზღვრული ცალობით (ტომრებზე და ტიკებზე) და ყოველს ცალზე პატრონს გარდახდეს დღეში (დღე და ღამ) ორი კაპეიკი.

ბ) ამ გვარს გადასახადს ექვემდებარება ის ხორაგეულობაც, რომლისთვისაც პატრონებს განსაკუთრებული თავ-შესაფარი არა აქვთ და ამიტომ იძულებულნი არიან მოედანზე დააწყონ; მაგ. ყველი (ოსეთიდამ შემოდის), კომბოსტო (ვაგონებით შემოაქვსთ ახალციხიდამ თუ ქართლიდამ), კარტოფილი და სხვ.—ამ გვარს ხორაგეულობის ოთხს ფუთზე გადასახადი ისევ ორი კაპეიკია დღეში.

გ) ამ გარდასახადს დროებით ჰკრებს ბაზრის მეთვალყურე.

ეს პროექტი ქალაქის რჩევამ—ქალაქის თავის თავჯდომარეობით დაამტკიცა წარსულს მაისის 25-ს და გარდმოსცა გამგეობას სისრულეში მოეყვანა.—გამგეობამაც, თანახმად რჩევის გარდაწყვეტილებისა, ბაჟის მოკრეფა მიანდო ბაზრის მეთვალყურეს ბ-ნს ქლდიაშვილს და არა «ახალს გამოჩეკილს ჩინოვნიკს», როგორც ამბობს ბ-ნი ალისუბნელი.

როგორც ჰხედავთ ყველაფერი ეს ამბავი მომხდარა ქალაქის თავის ქუთაისში «მყოფობის» დროს და გაკვირვებასა ვართ—რად დასჭირებია ბ. ალისუბნელს ლაპარაკი იმაზედ, რომ «დუმამ» ქალაქის თავის უმყოფლობის დროს მოახდინა ეს გარდაწყვეტილებაო? უთუოდ იმიტომ, რომ იმ კვირაში, ივნისის 4-დამ ვიდრე 10-მდე ქალაქის თავი ტფილისში იმყოფებოდა ქალაქის საქმეებისათვის და იმის თანამდებობას ვასრულებდი მე თქვენი მონა მორჩილი, ბ. ალისუბნელო. და ალბად ამ დროს მომხდარი ჰგგონებიათ ეს გარდაწყვეტილება.

სამწუხაროდ ბ. ალისუბნელს არც ის სცოდნებია, რომ ბაზრის მეთვალყურეს, როგორც წევრს «ვაჭრობის პოლიციისას», მიჩენილი აქვს—სამოქალაქო წესდების ძალით, შესაფერი ნიშანი (მედალი) პატარა ჯაჭვზედ. თუჯის ჯაჭვი ბ. ალისუბნელისაგან გამოჩეკილად წოდებულს ჩინოვნიკს არსად არ უშოვნია მაშ.

ტყუილად ეწამება ბ. ალისუბნელი ვითომც ბაჟის ამკრეფი უკანონობას ჩადიოდეს.—მე როგორც გამგეობას ერთს წევრთაგანს შემიძლია პირ უთვნელად ალვიარო, რომ ქუთაისს იმისთანა პატიოსანი, მარჯვე და გამსჯე ბაზრის მეთვალ-ყურე, როგორც ბრძანდება ბ. ქლდიაშვილი, ჯერ არ ჰყოლია. შემდეგ როგორი იქნება არ ვიცი; მე მხოლოდ იმის წასულ სამსახურზე მოგახსენებთ.—მელვინეებმა შემოიტანეს რჩევაში საჩივარი ამ ახალს გარდასახადზე, მაგრამ ისინი ერთი სიტყვით არ იხსენიებენ ბ. ქლდიაშვილის უწესო მოქმედებას—ისინი სჩივიან მხოლოდ გარდასახადის უწესოებაზე.

ტყუილად უკვირს ბ. ალისუბნელს ამ გარდასახადის შემოღება! ბ. ბობჩიას რომ იჯარა შემოაქვს (3700 მან. და არა 4700 მან. წელიწადში) ის სასწორის ბაჟი არის და ეს ახალი გარდასახადი-კი ქალაქის ადგილებით სარგებლობისათვის იქმნა დადგენილი.

ძლიერ მოხარული ვართ, ბ. რედაქტორო, რომ ეგ ერთი თანამშრომელი მაინცა გყავთ აქ, რომელიც ხანდისხან ჩვენი თვით-მმართველობის ვითარებასაც გატყობინებთ, თუმცა ხშირად საქმის დაუკვირვებლად; და რომ კვლავ ეს არ განმეორდეს ვსთხოვთ, ბ. ალისუბნელს იაროს რჩევის სხდომებზე, თუ უნდა ქალაქის საქმეები გაიცნოს; თუ რამ ცნობა უნდა, მიმართოს გამგეობას, არავინ და არაფერს გვარ საქმეების გაჩხრეკას არ დაუშლის. სასაიდუმლო და დასამალავი არა გვაქს-რა... ასე აშკარად

---

ადამიანი საზოგადოებით სცხოვრობს, ამ კანონებზე კი საზოგადოებრივი ცხოვრება ვერ მოეწყობა. რა საზოგადოებაა ის საზოგადოება, რომლის თვითოეულ წევრს ეშინიან ყოველ დღე ღალატით სიკვდილისა?! რა საზოგადოებაა ის საზოგადოება—რომელშიაც ესრეთი ბინძური ინსტინკტები ტრიალებს?!! რა საზოგადოებაა ის საზოგადოება, რომელიც ამ გვარს მოქმედებას ხელს აფარებს და ჩუმ-ჩუმად კიდეც თანაუგრძნობს?!! ჩვენ ზოგიერთებზე მოგახსენებთ, ღმერთმა ნუ ქმნას—მთელი ხალხი დაცემულიყოს; მაშინ პატიოსან კაცს რაღა დარჩებოდა, გარდა დამბაჩისა, ანუ კარგად გალესილი დანისა. ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ რამოდენიმე პირმა არ იცოდენ ეს გმირები რომელთაც ხელს აფარებენ. აი, ეს არის სამწუხარო მოვლენა. ამ გვარს შემთხვევაში პირუტყვებიც კი თანაუგრძნობენ ერთმანეთს და ჩვენ, ღვთის სახის მქონე, ადამის შვილებს დაგვჩლუნგებია ეს გრძნობა. აბა, სინჯეთ, დაკალით პირუტყვი და დაინახავთ, რომ დანარჩენი პირუტყვები დედა-მიწას დაჰყრუებენ ბღავილით.

ვით ამ გვარი მოქმედება ხელობად გარდაიქცა.

ვინ წარმოიდგენდა ამ ცოტა ხნის წინად იმას რაც ეხლა ქუთაისში ხდება? ვინ წარმოიდგენდა, რომ ბ. დ. ქიფიანზე «დანოსები» გაიგზავნებოდა?! სამწუხარო ის არის, რომ ამ ავაზაკთა გამბედაობამ უმაღლეს ხარისხამდის მიაღწია. ას კაცში ჩამდგარ კაცს კეტს სცემენ თავში და გარბიან!! ალბად, მათ ადრევე იციან, რომ კაცი ხმას არ გასცემს და იმიტომაც გამოიჩინეს ესეთი შემაძრწუნებელი გამბედაობა. ამის გარდა თ. ნ თ-ძის შეურაცხყოფამ ისე ჩაიარა, რომ პროტოკოლიც არ შეუდგენულა.

***

ხშირად მოხსენებია მკითხველ საზოგადოებას გაკვრით აქაური ერთგვარი ოჯახების ამბავი. ეს ოჯახები შეუჩერებელის ნაბიჯით მიდიან წინ. ესენი გახლავან, დარბაისელ ოჯახებად რომ მოაქვთ თავი; ისინი რომლის წევრებიც სამ ენას ურევენ ერთმანეთში და ისე ლაპარაკობენ: მაგალითად: «Pardon, თუ გიყვარდე! Ей Богу не хотѣла!» ქუთაისში ვერავინ შემობძანდება უცხო მხრეთელი, რომ ამ ოჯახებმა არ ჩაითრიონ, მერმე თუ უცოლო და «ვიგოდნი ჟენიხიცაა». წინაზე აქ ერთი მოსწავლე ქალი მოკვდა, რომელიც თავისმა ამხანაგებმა—ქალებმა გამოასვენეს სახლიდამ. ამ დარბაისელი ოჯახის დედამ, აი, რა წამოიძახა: «ვაი ჩემ თვალებს! კონსტიტუცია მოვიდა, კონსტიტუცია, დევილუპეთ თქვენი მტერია!» მაგრამ დედებისათვის ქალიშვილებს გადაუჭარბებიათ. იმათ სინაზეს და (მათივე ენით მოიხსენეთ) «ნაივნობას» საზღვარი არ აქვს... ამას წინად ერთმა ქალმა «ნაივნად» იკითხა: «неужели ქუთაისში есть საეზნაურო სკოლა?» და როდესაც გაიგო, რომ სკოლა არის და იქ ქართულ ენაზე ასწავლიან, წამოიკივლა: «какая гадость! როგორ შეიძლება? Отчего რუსულად არ ასწავლიან? თქვენ უნდა უყუროთ ამ გვარ ოჯახებს როდესაც უსიამოვნო ამბავი მოხდება, ან მკვლელობა, ან განზრახვა მკვლელობისა,—უთუოდ გაიგონებთ: «такъ ему, ეგრე მოუხდება! ალბად негодяй იყო!»

***

სხვა...—არფიანკები მოვიშორეთ სამეფო სახლიდამ, მაგრამ რამოდენიმე ყმაწვილი კაცი, გავირთამამებულნი არფიანკების დაახლოებით, როდესაც შელვინიანდებიან, წარმოიდგენენ ხოლმე: «ისევ არფიანკებში ვტრიალობთო!» და მრავალ-გვარ უზდელობას სჩადიან საზაფხულო კლუბში.

***

ერთი სიტყვაც მოიხსენეთ: აქ დიდი სიცხეებია, მაგრამ ვგონებ ქალაქელებსაც არ გადგიათ უკეთესი დღე. აქ სიცხით კაცები ვსდნებით, მანდ-კი ჟურნალ-გაზეთებიც დამდნარან.

რ. ალისუბნელი.

სიმართლის პირის აჴვევა და საქმის გაუცნობლად ლაპარაკი, უფრო ავნებს იმისთანა დაწესებულებას, რომელსაც ისედაც განზე უცქერიან ბევრნი... ტყუილია?!

ივანე მესხი

# ტელეგრამები

**ვენა.** სტამბოლიდამ სწერენ გაზ.: „პოლიტიკურ კორესპონდენციას“, რომ ბაბელ-მანდების სრუტეში გაიგზავნა სამხედრო კომისია, რომელმაც სიმაგრეები უნდა გამართოს ამ ადგილას.

**ლონდონი.** გუშინდელმა მატინგმა, რომელზედაც დასწრნენ საზოგადოებათა პალატის წევრნი და რამდენიმე ადმირალნი, გადასწყვიტა: დაარსდეს ნაციონალური ფონდი მცირე ამფეთქი გემებისა და სხვა გასამაგრებელ იარაღთა შესაძენად ინგლისის საგაჭრო ნავთ-საყუდრებისა და ზღვის ნაპირა ქალაქების თვის.

**პეტერბურგი.** ქალაქის რჩევამ მიიღო წინადადება 5000 მან. შემწეობაზე გროდნოს დაზარალებულთათვის.

**ლონდონი.** გენ. ლემსდენმა მიიღო ბანის ორდენი 1 ხარისხისა.

**კილი.** გერმანიაში გაკეთებული სამი ჯავშნიანი ხომალდი გუშინ გავიდენ ჩინეთისაკენ

## განცხადებანი

ევროპის ბაღში



დღეს ივნისის 23-ს.

დიდი

ხელოვნურ-ოპტიური წარმოდგენა ფიზიკოსის ვ. დერინგისა მოძრავი დაბუნდულის სურათებით **ახალის პროგრამით.**

—

კონცერტი დაიწყება 7-ს საათზედ. წარმოდგენა 9 საათზედ.

—

დაწვრილებითი ცნობანი აფიშაში იქნება სამშაბათს, ამ თვის 25 შემდეგი წარმოდგენა იქნება ახალის პროგრამით.

---

ამა წლის, ივლისის 1-დამ სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, გაიხსნება საწყობი

ფაბრიკისა

**ი. და პ. კოატს**

პაისლეიში

**კოჭის ძაფისა**

დაკლებულის ფასებით

**აგენტი ფერდინანდ ეგნერი** (6—3)

---

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 30 ივლისს ამა 1885 წლისა ქ თბილისს თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის სადგომში, საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, ბანკის სახვედრო გადასახადთა მათ მიერ შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე 19 §-ისა შეავსებენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებაების ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდან ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანათი მანათად; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შედგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძვლისა ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 16 აგვისტოს ამა 1885-ს წელსა.

### $18^{7}/_{12}$ წლიანნი სესხნი.

### ქ. თბილისს.

მელიქოვისა, ანნა ივანეს ასულის: 1 განყოფილებაში, 2 ნაწილში ბალის ქუჩაზე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 204 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 24,236 მან. 52 კაპ. შესავს. გარდასახ. 2841 მან. 12 კაპ. სულ 27,077 მან. 64 კაპ.

მელკვიძეთა მირზოევისა, ივანე მინას-ძის: 1 განყოფილებაში 3 ნაწილში, მიხაილის ხიდზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და დუქნებით სარდაფებით და მიწა, 758 კვადრ საჟ. თავნი ვალი, 96,945 მან. 92 კაპ. შესავს. გარდ. 13,921 მან. 85 კაპ. სულ 110,867 მან. 77 კაპ.

მათ კი: 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში, მიხაილის ხიდზე ქვითკირის დუქნები, სარდაფით და მიწა, 1259 კვადრ. საჟ, თავნი ვალი 105,024 მ. 80 კაპ. შესავს. გარდ. 15,074 მან. 03 კაპ. სულ 120,098 მ 83 კ.

მათივე: 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში, მიხაილის ხიდზე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, დუქნებით და მიწა, $243^{1}/_{2}$ კვადრ. საჟ. თავნი ვალი 105,024 მან. 80 კაპ. შესავსები გარდ. 15,073 მან. 10 კაპ. სულ 120,097 მან. 90 კაპ.

შადინოვისა, ალექსანდრე ივანეს ძის: 1 განყოფილებაში, 4 ნაწილში განოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ოთხ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი და მიწა 236 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 36,819 მან. 54 კაპ. შესავს. გარდ. 3774 მან. 29 კაპ. სულ 40,593 მან. 83 კაპ.

მემკვიდრეთა შადინოვისა, მიხაილ ივანეს-ძის: 1 განყოფილებაში 4 ნაწილში ველიამინის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-სართულიანი სახლი და მიწა 236 კვადრ საჟ, თავნი ვალი 16,560 მან. 95 კაპ. შესავსები გადასახ. 1540 მან. 10 კაპ. სულ 18,101 მან. 05 კაპ.

მირზოევისა, ბარბარე მიხაილის ასულის: 1 განყოფილებაში 3 ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი დუქნებით და მიწა, 138 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 49,397 მან. 04 კაპ. შესავს. გარდ. 3867 მან. 27 კაპ. სულ 53,264 მან. 31 კაპ.

ბართოვისა, ნინა ალექსანდრეს ასულის: 1 განყოფილებაში, 2 ნაწილში ბებუთოვის და კონსულის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 108 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 19,065 მან. 52 კაპ. შესავს. გარდასახ. 1352 მან. 53 კაპ. სულ 20,418 მან. 05 კაპ.

გაზაროვისა, ავეტიქ კარაპეტის-ძის: 1 განყოფილებაში, 5 ნაწილში საზოგადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 103 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 8666 მან 20 კაპ. შესავ. გარ. 660 მან. 74 კაპ. სულ 9326 მან. 94 კაპ.

შირიაევისა, ივანე მიხაილის ძის: მეორე განყოფილებაში, მეოვე ნაწილში, ჩუღურეთში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 149 კვადრ. საჟ, თავნი ვალი 12,132 მან. 65 კაპ. შესავს. გარდასახ. 1126 მან. 18 კაპ. სულ 13,258 მან. 83 კაპ.

კოზლოვისა, იოსებ ვლასას-ძის: მეორე განყოფილებაში პანასევიჩის და ნიკოლოზის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 360 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 15,046 მან. 05 კაპ. შესავს. გარდ. 301 მან. 99 კაპ. სულ 15,348 მან. 04 კაპ.

ბაჭიკოვისა, სალომე ტატოს ასულის: პირველ განყოფილებაში, პირველ ნაწილში, დავითის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 83 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 3611 მან. 90 კაპ. შესავს. გარდასახ. 261 მან. 66 კაპ. სულ 3873 მან. 56 კაპ.

იოსელიანისა. იასონ სოფრომის-ძის: მე-2 განყოფილებაში, მე-10 ნაწილში ელისაბედის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი მეზონინით და მიწა 2212 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 27,089 მან. 25 კაპ. შესავს. გარდასახ. 2754 მან. 06 კაპ. სულ 29,843 მან. 31 კაპ.

ომელოვისა, ნინო ივანეს ასულის: 1 განყოფილებაში ოლღას ქუჩაზე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 9932 მან. 71 კაპ. შესავს. გარდ 451 მან. 40 კაპ. სულ 10,384 მან. 11 კაპ.

### თბილისის გუბერნიის და მისივე მაზრისა.

### $43^{1}/_{2}$ წლიანნი სესხნი.

მაღალოვისა. დავით იოსების-ძის: თელოვანის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე 141 დესიატ 1720 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1949 მან. 23 კაპ. შესავს. გარდ. 145 მან. 26 კაპ. სულ 2094 მან. 49 კაპ.

მიდალოვისა, სოფიო იოსების ასულის: თელოვანის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე 153 დესიატ. 440 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 2933 მან. 27 კაპ. შესავს. გარდ. 222 მან. 12 კაპ. სულ 3155 მან. 39 კაპ.

### გორის მაზრისა.

ქრისთავისა, გრიგოლ პავლეს-ძისა: ნიგოზას აგარს სახნავ-სათესი, ტყე და საძოვარი 452 დესიატ 60 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 7796 მან. 74 კაპ. შეს. გარდ. 129 მან. 36 კაპ. სულ 7926 მან. 10 კაპ. (3—1)

---

Доз. ценз. Тифлисъ, 22 Іюня 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.